

პიზნესმენები და მენეჯერები

იცხარვის „თბილისის თავისუფალი სკოლის“ ხელმძღვანელ, თავისუფალი უნივერსიტეტის მათემატიკისა და კომუნიკაციის ხასიათის ფაკულტეტის (MACS) დეკან ამირა აგაროლაძესთან

მინი დოსტი:

ამირან ამშროლაძე – დაიბადა 1960 წლის 5 თებერვალს, ქუთაისში.

განათლება:

1967-1974 – თბილისის მე-60 საშუალო სკოლა;
1974-1977 – კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა;
1977-1982 – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (МГУ), მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი;
1982-1985 – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (МГУ), ასპირანტურა.



სამუშაო გამოცდილება:

1986-1991 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლექტორი;
1993-1997 – უმეოს უნივერსიტეტი, შვედეთი;
1997-2001 – ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი;
2001-2005 - ლონდონის და საუთჰემპტონის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი;
2009-დან – თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის სკოლის დეკანი;
2018-დან – თბილისის თავისუფალი სკოლის დირექტორი.

უცხო ენები: რუსული, ინგლისური, შვედური, ფრანგული.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

დღეს ნარმოგიდვენთ ადამიანს, რომელიც მაქსიმუმს აღწევდა თავისი ცხოვრების ყოველ ეტაპზე:

- იყო პირველი ქართველი, რომელმაც გაიმარჯვა მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე მათემატიკაში.
- წითელ დიპლომზე დაამთავრა მოსკოვის ლომბონსოვის სახელობის უნივერსიტეტი, იმ დროისათვის მათემატიკის საუკეთესო საგანმანათლებო ცენტრი მსოფლიოში.
- წლების განმავლობაში მუშაობდა შვედეთისა და ინგლისის საუკეთესო უნივერსიტეტებში, სადაც მრავალჯერ იყო აღიარებული წლის საუკეთესო ლექტორად.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ კახა ბენდუქიძის ინიციატივით თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში დააარსა მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების (MACS) ფაკულტეტი – დღემდე ყველაზე რეიტინგული ფაკულტეტი საქართველოში.

შემდეგი პროექტია: თბილისის თავისუფალი სკოლა.

– ბატონი ამირან, სანამ დღევანდელობაზე ვისაუბრებთ, მანამდე თქვენი ახალგაზრდობის წლებზე გვიამდეთ. როგორ გახდით მათემატიკოსი?

– სრულიად შემთხვევით. მთელი სკოლის პერიოდი ქართული ენის წრეზე დავდიოდი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში და ვფიქრობდი, რომ მწერალი ან პოეტი გამოვიდოდი. თუმცა შემდეგ, მეგობრის წაქეზებით, კომაროვის სკოლაში გადავედი, ოლიმპიადებშიც ვმონაწილეობდი და ამან განსაზღვრა ჩემი ტექნიკური კარიერა. ამიტომ დღეს ძალიან ფრთხილად ვარ, როდესაც რომელიმე ბავშვზე მეტყვიან, რომ ის ჰუმანიტარია ან ტექნიკური ტექნიკა აქვს – ბავშვს უნდა მივცეთ მრავალმხრივად და ჰარმონიულად განვითარების საშუალება, დანარჩენს დრო გვიჩენებს.

– როგორც ვიცით, თქვენი მონაწილეობა მათემატიკურ ლილმიმადებში ძალიან ნარმატებული იყო.

– დიახ, ჯერ მე-9, შემდეგ მე-10 კლასში გავედი მათემა-

ტიკურ ოლიმპიადაზე და საკავშირო ოლიმპიადაზე გავი-
მარჯვე. პრიზიც მიერთო ყველაზე ორიგინალური ამოხ-
სნისთვის. მე-10 კლასში (მე-10 კლასი დამამთავრებელი
იყო იმ დროს) ნაკრებს აყალიბებდნენ და მაშინ საბჭოთა
კავშირის ნაკრებში ამიყვანეს. მოსწავლეთა საერთაშორისო
მათემატიკურ ოლიმპიადაზე წავედით. პირველად მოხდა,
რომ საქართველოდან მოსწავლე აღმოჩნდა საბჭოთა კავ-
შირის ნაკრების წევრი. საერთაშორისო ოლიმპიადაზე მე
პირადად ვერცხლის მედალი ავიღე, საერთო გუნდურ ჩათ-
ვლაში კი პირველ ადგილზე გავედით.

ოლიმპიადაზე მიღწეული ნარმატების შემდეგ ნაკრების
ნებისმიერ წევრს რომელ უნივერსიტეტშიც მოგვინდებოდა
სწავლა, უგამოცდოდ მიგვიღებდნენ, მათ შორის სამედი-
ცინოზეც, რომელიც მაშინ ძალიან პოპულარული იყო და
სადაც დედაქემს ძალიან სურდა, რომ მესწავლა. მე მაინც
„ემგეუში“ (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში) წავე-
დი, სადაც მათემატიკის ფაკულტეტი მაშინ მსოფლიოში
საუკეთესო იყო.

საინტერესოა, რომ ზუსტად იგივე გზა გაიარა ჩემმა
უმცროსმა ძმამ, მურმან ამბროლაძემ. მე თუ პირველი
ქართველი ვიყავი, ვინც საკავშირო და საერთაშორისო
მათემატიკის ოლიმპიადებზე გაიმარჯვა, ჩემი ძმა იყო
მეორე. შემდეგ მანაც დაამთავრა „ემგეუ“ და ასპირანტურა.

**– მოსკოვში სწავლისას რამე პრობლემა ხომ არ
შეგექმნა?**

– უნივერსიტეტში სწავლისას არა, მაგრამ ასპირანტუ-
რაში მიღებაზე შემექმნა პრობლემა. მიუხედავად იმისა,
რომ უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დაგამოავრცე, ას-
პირანტურაში მაინც არ მიმიღეს, რადგან კომკავშირის
კომიტეტის მდივანი გამოვიდა ჩემ წინააღმდეგ. დისიდენ-
ტი არ ვიყავი და დემონსტრაციებს არ ვაწყობდი, მაგრამ
ყოველთვის მწყრალად ვიყავი კომკავშირულ ორგანიზაცი-
ასთან და ეს არ მაპატიეს.


ჩემს დასაცავად საყოველთაოდ ცნობილი მათემატიკო-
სი – ანდრე კოლმოგოროვიც კი გამოვიდა საბჭოზე: ნი-
ჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდაა, მივიღოთ ასპი-
რანტურაში. მაგრამ საბჭომ – კარგია, რომ კოლმოგოროვი
ასე ფიქრობს, მაგრამ, მოდი ახლა ვეკითხოთ კომკავშირის
კომიტეტის მდივანს. სახელგანთქმული აკადემიკოსის,
კოლმოგოროვის სიტყვა კომკავშირის კომიტეტის მდივნის,
25 წლის ბაქოს სიტყვა გადაწონა და არ მიმიღეს.

ამის შემდეგ შემომთავაზეს განაწილებით წავსულიყავი
უფაში ან იოშეარ-ოლაში (არ შეიძლებოდა „ემგეუს“ და-
მთავრების შემდეგ ადამიანს არ ემუშავა). მე სასწავლოდ
დავუკავშირდი ჩემებს თბილისში და ვთხოვე ნებისმიერი
ადგილი მოექებნათ ჩემთვის. განათლების სამინისტროში
(სადაც ხუთი წლის წინ თავად მინისტრმა დამასაჩუქრა
დიდი ზარ-ზეიმით საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარ-
ჯვებისთვის) თქვეს, რომ თბილისის სკოლებში ერთი
მათემატიკის პედაგოგის ადგილიც კი არ იყო ვაკანტური.
ყველაფერი ქრთამით და ნაცნობობით კეთდებოდა.

ეს გადახვევა – მათთვის, ვისაც დღემდე საბჭოთა ნოს-
ტალგია აქვს.

– შვედეთთან როგორ მოხდა თქვენი დაკავშირება?

– „პერესტროიკის“ მერე სიტუაცია შეიცვალა.



17 წლის ასაკში (საერთაშორისო ოლიმპიადის წელი - 1977)

1990-იანების დასაწყისში ბევრი მიზეზის გამო ძალიან
გაჭირდა საქართველოში ცხოვრება. წავედი ისევ მოსკოვში
სტაჟირებაზეც. იმ დროს იქ უკვე ცუდად უყურებდნენ ქარ-
თველებს, 9 აპრილი მომხდარი იყო, მაგრამ მაინც მიმიღეს.
მოსკოვი ერთგვარ ტრამპლინად მჭირდებოდა დასავლეთში
მოსახვედრად. თავიდან ერთი თვით მოვახერხე შვედეთში
ჩასვლა. კარგ ადამიანთან მოვხვდი. ერთ თვეში დავწერეთ
ორი სტატია, მესამეც წამოვიწყეთ. მერე ექვსი თვით მიმი-
წვიეს, შემდეგ ერთი წლით, ასე გაგრძელდა და ნელ-ნელა
მუდმივი სამუშაო და მოქალაქეობაც მივიღე.

– რომელ უნივერსიტეტში მუშაობდით?

– ეს იყო უმეოს უნივერსიტეტი, შვედეთის ჩრდილოეთ
ნაწილში, ჰატარა, ძალიან მშვიდ და წყნარ ქალაქში. იქ 4
წელი ვიმუშავე. შემდეგ გადმოვედი ქალაქ ლუნდის უნი-
ვერსიტეტში, კეეყნის სამსრეთში, რომელიც ყველაზე დიდი
უნივერსიტეტია სკანდინავიაში. იქ უკვე მუდმივი სამუშაო
რომ მიგედო – შვედურად უნდა წაგეკითხა ლექცია. ლექ-
ცია ფაქტობრივად, დავიზეპირე, თითქმის არ ვიცოდი შვე-
დური. მიმიღეს. ასე რომ, ჯერ ინგლისურად მომიწია ენის
მტვრევა, მერე უკვე შვედურზე გადავედი.

ქალაქი ლუნდი სამსრეთ შვედეთშია და დედაქალაქ
სტოკოლმისგან მკვეთრად განსხვავებული აქცენტით
საუბრობენ. უნივერსიტეტის უურნალში სტატია გა-
მოაქცევნეს, სადაც სტოკოლმელი სტუდენტი ჩიოდა: აქ-
ცენტის გამო მიჭირსო ლექციონების გაგება, მაგრამ ერთი
რუსი პროფესორი, რომელიც ძალიან ნელა და გარკვევით
ლაპარაკობსო. ეს „რუსი პროფესორი“ მე ვიყავი.

**– ინგლისის უნივერსიტეტებთანაც გქონდათ ურ-
თიერთობა.**

– კონფერენციებზე სიარულისას უხვდებოდი ინგლისელ
კოლეგებს და საერთო სამეცნიერო ინტერესები აღმოვაჩი-
ნეთ. ინგლისშიც წავიდი და რამდენიმე წელი ლონდონის და
საუთჰემპტონის უნივერსიტეტებთან ვთანამშრომლობდი.
იქ ძირითადად სამეცნიერო საქმიანობა მქონდა, ლექციებს
ძალიან იშვიათად ვკითხულობდი.

– შვედეთში დიდხანს დარჩით?

– კი. 2005 წელს დავბრუნდი საქართველოში.

**– საქართველოში დაბრუნების შემდეგ, პირდაპირ
თავისუფალ უნივერსიტეტში დაიწყეთ მუშაობა?**

– არა, ეს სულ სხვაგვარად მოხდა. შვედეთიდან რომ
ჩამოვედი, საერთოდ აღარ ვაპირებდი საუნივერსიტეტო
სისტემაში მიბრუნებას. მეცნიერულ კვლევასაც დავანე-
ბე თავი. სამეცნიერო წიგნებიც მეგობრებს დავურიგე,
თანაც სხვადასხვა მეგობარს, უკან რომ ვეღარ შემეკრი-
ბა. მოკლედ, ყველა უკან დასაბრუნებელი ხიდი დავწვი. ფილოსოფიური დამოკიდებულება მქონდა ცხოვრების
მიმართ: ამ ცხოვრებაში მათემატიკოსი ერთხელ უკვე ვი-
ყავი, ახლა სხვა რამე მინდოდა მეცადა. ჩემი იდეები მქონდა
და საკუთარი პროექტების კეთებაზე ვფიქრობდი (ისევ
განათლების სფეროში). რატომ მიდიოდა კაცი კახა ბენდუ-
ქიძესთან? – ჩემი პროექტებისთვის დაფინანსება მჭირ-
დებოდა! ამიტომაც ვთხოვე შესვედრა. საინტერესოა, რომ
ეს შესვედრა საღამოს 7 საათზე დაიწყო და დილის 3 საათზე
დასრულდა, – სრულიად უშედეგოდ: მე ფული მჭირდებოდა,
ბატონი კახა კი მთავაზობდა მის ახალდაარსებულ უნივერ-
სიტეტში დამეწყო მუშაობა მათემატიკის მიმართულების
ხელმძღვანელად. ჩვენ კიდევ რამდენჯერმე შევხვდით
ერთმანეთს და მე დავრწმუნდი, რომ ამ ადამიანს მარ-
თლაც რაღაც დიდის და მნიშვნელოვანის გაკეთება ჰქონდა
ჩაფიქრებული. მეც გადავწყვიტე, გვერდით დავდგომოდი
მას ამ საქმეში და ჩემი მცირე წვლილი შემეტანა.

**– ნანობთ, თავდაპირველ ჩანაფიქრს რომ გადაუხ-
ვიეთ?**

– კიც და არაც. მე და ჩემმა კოლეგებმა ბატონ კახასთან
ერთად წულიდან შევქმნით მაქსის სკოლა (მათემატიკისა
და კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტი), რომელიც
ყველაზე რეიტინგულია დღეს საქართველოში არსებულ
ყველა უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს შორის. ანუ,
ჩვენთან მოსული სტუდენტების საშუალო რეიტინგი
(ეროვნული გამოცდების მიხედვით) ყველაზე მაღალია.
მიუხედავად ასეთი დონისა, პირველ წელს მიღებული
ოცდაათი სტუდენტიდან ბაკალავრიატი მხოლოდ ხუთმა
დაამთავრა თავის დროზე. ჩვენ გვაქვს გარკვეული სტან-
დარტი, საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე,
რომელსაც არ ვწევთ დაბლა.

**– არის თუ არა დასაქმება თქვენი სტუდენტებისთვის
პრობლემა?**

– დიახ, დიდი პრობლემა! ოღონდ, სწორედ რომ
დასაქმება და არა დაუსაქმებლობა! ჩვენთან უკვე მეორე-
მესამე კურსიდან თითქმის ყველა სტუდენტი მუშაობს. ჩვენ
ვფიქრობთ, რომ ეს ცოტა ადრეა, მაგრამ დიდია ცდუნება
სტუდენტისთვის, საკუთარი შემოსავალი ჰქონდეს.

**– როგორც ვიცი, თქვენ პირადად თავისუფალი
უნივერსიტეტის ყველა პირველკურსელ სტუდენტს,
ფაკულტეტის მიუხედავად, უკითხავთ მათემატიკის
კურსს. სჭირდება კი ყველა პროფესიის ადამიანს მათემა-
ტიკა?**

– ეს არის ზოგადი განათლების საგანი, ეს კურსი მთლი-
ანად თავისუფალი უნივერსიტეტისთვის შეიქმნა და ეს
არის მათემატიკა, ფაქტობრივად, ფორმულების გარეშე,
ძირითადად იდეების დონეზე. ამ კურსის მიზანია სტუ-
დენტებში ლოგიკისა და სტრუქტურული აზროვნების გან-
ვითარება. ბევრს მათემატიკა ანგარიშის ცოდნა ჰქონია
მხოლოდ, სინამდვილეში მათემატიკის სწავლების მიზანი
კრიტიკული აზროვნების განვითარება უნდა იყოს. დღევან-
დელ ინფორმაციულ ეპოქაში, როდესაც ადამიანი უამრავი
ფაქტობრივი მასალით იბომბება, აუცილებელია ამ ინფორ-
მაციის სწორად დახარისხების და გაფილტვრის უნარი და
მისი კრეატიულად გამოყენება.

**– აპბათ ამავე მიზანით არის დაწერილი ლოგიკური
ამოცანების თქვენი ცნობილი წიგნი „1+1=10“?**

– დიახ, ეს არის სათავგადასავლო ნაწარმოები, სა-
დაც ბუნებრივად არის ჩართული თითქმის ყველა ცნო-
ბილი მათემატიკური თავსატეხი. ამ აზრით, ეს წიგნი
ორიგინალურია. ბევრია პოპულარული მათემატიკის წიგნი
დაწერილი მათთვის, ვისაც უკვე უყვარს მათემატიკა. ჩემი
წიგნის მიზანია მათემატიკა გავაგებინო და შევაყვარო
მათ, ვისაც არ უყვარს მათემატიკა. ეს დაახლოებით ტკბილ
გარსში გახვეული წამალივითაა.

– ადგილაც ძლევენ სტუდენტები თქვენს საგანს?

– ყოველ წელს დაახლოებით მესამედი იჭრება, – ოღონდ
სიზარმაციის გამო.

– ასეთი მკაცრი ხართ?

– არა, როგორც გითხარით, სიზარმაციის გამო იჭრებიან.
სხვათა შორის, შვედეთში ერთ-ერთ ყველაზე ლმობიერ ლე-
ქტორად ვითვლებოდი, აქ კი იგივე სტანდარტებით ალბათ
ყველაზე მკაცრი ლექტორი მქვია. მთავარია, მართალი
იყო სტუდენტთან და შენი საქმე პატიოსნად აკეთო. ვინც
იჭრება, კარგად იცის, რომ მისი სიზარმაციის ბრალია და
ლექტორზე არ ნაწერდება.

აქვე ვიტყვი, რომ პირველსავე წელს თავისუფალი უნი-
ვერსიტეტის სტუდენტებმა წლის საუკეთესო ლექტორად
ამირჩიეს. მათ არჩევნები ჩატრილი სტუდენტების ხმებიც
იყო. ეს არჩევანი კი იმავდროულად ნიშნავდა, რომ სტუ-
დენტებმა მიიღეს საგანი და დაინახეს მისი სიკეთე.

– სამუშაორდ, ბევრს არ უყვარს მათემატიკა.

– დიახ, მეც ხშირად შემხვედრია ადამიანი, რომელიც ამ-
ბობს, რომ მას მათემატიკა არ უყვარს. ამ დროს ვფიქრობ,
რომ, სავარაუდო, ამ ადამიანს ცუდი მათემატიკის მასწავ-
ლებელი ჰყავდა. ხშირად ასეცაა. ფაქტია, რომ დღევანდელი
მათემატიკის მასწავლებლების დიდმა ნაწილმა თავად არ
იცის ის პროგრამა, რაც უნდა ასწავლოს. აქ უკვე გადა-
ცემის უნარზე და საგნის მოსწავლისთვის შეყვარებაზე
საუბარი აღარაა. ჩემთვის ყველაზე დიდი კომპლიმენტია,
როდესაც სტუდენტი მეტყვის, რომ ჩემმა საგანმა მას
მათემატიკა შეაყვარა.

– ბევრი ქართველი ახალგაზრდა დღესდღეობით



**ამირან ამბოლაძე თავისუფალი სკოლის გახსნის დღეს,
მეუღლესთან - თამართან ერთად**

უცხოეთში იღებს განათლებას და პროფესიულ ცოდნასთან ერთად იქაურ კულტურასაც სწავლობს. ეს კარგია?

– ეს ძალიან კარგია, ოღონდ გარკვეულ ხიფათსაც შეიცავს. რალაც ნაწილი სტუდენტებისა ბრუნდება უცხოეთიდან, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი ჩრება უცხოეთში, რითაც საქართველო საუკეთესო გენეტიკურ ფონდს კარგავს. ხშირად გამიგია მშობლებისგან: ჩემს შვილს ისე უყვარს საქართველო, სხვაგან ვერსად ვერ გაჩერდებაო, მაგრამ ერთი-ორი წლის მერე იმავე შვილს არდადეგებზეც აღარ უნდა საქართველოში ჩამოსვლა. კარგი იქნება, რომ სწავლის პირველი საფეხური, ბაკალავრიატი, საქართველოში გაიაროს ბავშვმა, შეიძინოს მეგობრები, ჩაებას ქვეყნის ცხოვრებაში და შემდეგ, უკვე ბევრად უფრო ჩამოყალიბებულმა ადამიანმა, უცხოეთში გააგრძელოს სწავლა.

– **მივადექით კარგი ბაკალავრიატის საჭიროების პრობლემას.**

– საქართველოდან უზარმაზარი ფული გაედინება, მშობლებისგან გადახდილი, მათი შვილების ბაკალავრიატში სასწავლებლად უცხოეთში. ამ ფულით შეიძლებოდა საქართველოშივე გაგვეკეთებინა კარგი ბაკალავრიატი, თუნდაც იმავე უცხოელი სპეციალისტების მოწვევით. მით უმეტეს, რომ ბევრი მიმართულებით მაღალი დონის საბაკალავრო სწავლება საქართველოში უკვე არსებობს.

– **ამჟამად თქვენ „თბილისის თავისუფალი სკოლის“ დირექტორი ხართ. რა მოსაზრებით გადაწყვიტეთ სკოლის გახსნა?**

– სკოლა გაიხსნა თავისუფალ და აგრარულ უნივერ-

სიტეტებთან მჯიდრო თანამშრომლობით. მოგეხსენებათ, რომ ეს ყველაზე რეიტინგული უნივერსიტეტებია საქართველოში სტუდენტების მიერ ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების მიხედვით. როდესაც ვიფიქრეთ სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შესახებ, აღმოჩნდა, რომ ამას შეიძლება დაეზარალებინა ხარისხი, ანუ, სპორტული ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, აბიტურიენტთა სათადარიგო სკამი ძალიან მოკლე იყო. საქართველოში ძალიან ცოტაა კარგი სკოლა და შესაბამისად კარგი აბიტურიენტიც ცოტაა. ამ ხარვეზის ნაწილობრივ მაინც შევსება იყო ჩვენი სკოლის გახსნის ერთ-ერთი მიზანი. ზოგადად, რომ განათლება ქვაკუთხედია ქვეყნის განვითარებისთვის და ამის გარეშე ვერც დემოკრატია განვითარდება და ვერც ეკონომიკა, ეს ცხადია. უფრო მეტიც, განათლების გარეშე დემოკრატია საზიანოც ეს შეიძლება იყოს.

– **როგორ ფიქრობთ, რატომაა ცოტა კარგი სკოლა საქართველოში? მოთხოვნა ხომ დიდია კარგ განათლებაზე.**

– არა, რაც მოთხოვნაა, ისეთია მიწოდებაც. კარგი განათლება არ არის ყველა მშობლისთვის პრიორიტეტი (დიპლომი კი, მაგრამ არა განათლება). მათთვის სკოლა რაღაცნაირი ნაირსახეობაა გასართობი ცენტრის. ინგლისურის გარდა სხვა საგნის შესწავლა ნაკლებად აინტერესებთ. ფიქრობენ, რომ მერე, მაღალ კლასებში მოამზადებენ ბავშვებს რეპეტიტორთან და სადღაც ჩაბარებინებენ,

– დღეს ხომ საკმაოდ ადვილია გახდე სტუდენტი. ზოგი მშობელი ქვეცნობიერად ასეც ფიქრობს: მე თუ განათლება არა მაქსი, ვერ ვიშოვე ფული თუ რა?! ლუარსაბის თანამედროვე ვარიანტია: „მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ?!”

ეს, რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება და ზუსტად აქ არის ჩვენი ნიშა: ჩვენ არ ვცდილობთ, ყველას მოვაწონოთ თავი, – ჩვენი სკოლა არის მათთვის, ვისაც ესმის განათლების ფასი და რომ განათლების გარეშე არ არსებობს თავისუფალი პიროვნება.

– **და რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა „თავისუფალი“? ეს სიტყვა თქვენი სკოლის დასახელებაშიც შედის.**

– თავისუფალი და თავისუფლება ბევრის მომცველი სიტყვებია. ჩემთვის პირადად ძალიან მნიშვნელოვანია აზრის თავისუფლება, რაც სიტყვის თავისუფლებაზე ბევრად მეტია. სიტყვის თავისუფლებაა, როცა შენ ამბობ იმას, რასაც ფიქრობ. აზრის თავისუფლებაა, როცა შენ ფიქრობ იმას, რასაც გრძნობ. მოკლედ, შეგიძლია, თუნდაც საკუთარ თავს უთხრა, რომ „მეფე შიველია“.

– **თავისუფალი თუ ნიშნავს თავისუფალ ქცევასაც?**

– დიახ, ოღონდ იმ ბუნებრივ საზღვრამდე, როცა, მაგალითად, ერთი ბავშვის „თავისუფალი“ ქცევა ხელს უშლის გაკვეთილის ნორმალურ ჩატარებას და ამით ზღუდავს სხვა ბავშვის უფლებას მიიღოს ცოდნა მშვიდ, სასიამოვნო და სამუშაო გარემოში.

ზოგადად, თავისუფლება და წესრიგი არ არის ურთიერთსანაალმდეგო ცნებები, პირიქით. მე ორ ქვეყანას ვიცნობ კარგად, საქართველოს და შვედეთს (სადაც წლები გავატარე, ორმაგი მოქალაქეობა მაქს) და მათ რომ ერთმანეთს ვადარებ, შვედეთში ერთდროულად თავისუფლებაც მეტია და წესრიგიც.

- კიდევ რა პრიორიტეტები აქვს თქვენს სკოლას?
- პირველ რიგში უსაფრთხოება! და ამაში სრულად ვთანხმდებით მოსწავლეების მშობლებთან. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა როგორც ფიზიკური, ასევე მორალური და ცულობა. ჩვენთვის სრულიად მიუღებელია ბულონგი, როგორც ბავშვებს შორის, ასევე ბავშვსა და უფროსს შორის ნებისმიერი მხრიდან.

სხვათა შორის, გართობაც არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და ვთვლით, რომ სწავლაც მაქსიმალურად სახალისო და გასართობი ფორმით უნდა მიმდინარეობდეს, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა, სწავლა ზოგჯერ განსაკუთრებულ მობილიზაციასაც მოითხოვს მოსწავლისაგან. მაგალითად, თქვენ თუ მეტყვით, რომ არ ყოფილა დილა, როცა თქვენ ძილის გაგრძელება გერჩიგნათ სკოლაში წასელას, არ დაგიჯერებთ.

- თქვენ ახსენეთ, რომ კარგად იცნობთ შვედეთს. ხომ არ ფიქრობთ შვედური სისტემის გადმოლებას?

- არა. ის, რომ შვედური განათლების სისტემა ბევრად სჯობს ქართულს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სტანდარტული შვედური სკოლა კარგ განათლება იძლევა. ეს მე კარგად განვიცადე საკუთარ ტყავზე, ერთი, როგორც მშობელმა (ჩემი ორი ქალიშვილი იქ სწავლობდა და ძალიან გამიჭირდა მათთვის კარგი სკოლის შერჩევა) და მეორე, როგორც ლექტორმა, – ძალიან ცუდი დონის აბიტურიენტები მოდიოდნენ სკოლის მერჩიდან. ლუნდის უნივერსიტეტში (სადაც ვმუშაობდი) ტექნიკურ ფაკულტეტებზე ერთ-ერთ საგნად ჩვეულებრივი სასკოლო პლანიმეტრის კურსიც კი შემოვიდეთ პირველი კურსის სტუდენტებისთვის ლოგიკური აზროვნების განსავითარებლად. ეს კურსი ამოღებული იყო შვედური სკოლის პროგრამიდან მარტივი ლოგიკით: თუ ყველა ვერ სწავლობს პლანიმეტრიას, მაშინ არავის არ ვასწავლოთო.

კიდევ ერთი მომენტი: ის სისტემა, რაც არის შვედეთში, მორგებულია შვედურ ხასიათზე და შეიძლება არ იმუშაოს ქართულ რეალობაში. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ასეთი ისტორია: როდესაც გორბაჩივმა პერესტრიკის განთიადზე გამოაცხადა, რომ სურდა სოციალიზმის შვედური მოდელის აშენება საბჭოთა კავშირში, მისმა ერთ-ერთმა ოპონენტმა გადაჭრით უარყო ეს იდეა შემდეგი მარტივი არგუმენტით: ძალიან ცოტანი არიან ჩვენს ქვეყანაში შვედებით.

ჩვენ არცერთი მოდელის კოპირებას არ ვაპირებთ, მაგრამ გადმოვიდებთ ყველა მოწინავე იდეას, რაც მიესადა-გება ქართულ რეალობას. ამით ჩვენ შევქმნით ჩვენს საკუთარ მოდელს.

რადგან საბჭოთა კავშირი ვახსენე, იმასაც ვიტყვი, რომ კარგი იქნება, თუ განვთავისუფლდებით საბჭოური ტოტალიტარული აზროვნებისგან და მეტ თავისუფლებას მივცემთ სკოლებს. განათლება იმდენად რთული და ამოუნურავი მეცნიერებაა, არავინ უნდა ჩათვალოს, რომ ზუსტად მას აქვს განათლების ერთადერთი სწორი კონცეფცია და თავს მოახვიოს ყველა სხვას. იყოს სკოლების მრავალფეროვნება და ცხოვრება აჩვენებს, რა არის სწორი და რა არა.

- თქვენი ზემოთ ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ ქართველი მოსწავლე სხვაა და შვედი სხვა?!

- დიახ, ისევე როგორც ქართველი მძღოლი სხვაა და შვედი სხვა. შვედური განათლების სისტემის წარმატება დიდილად ემყარება შვედურ ორგანიზებულობას და შრომისმოყვარებას. საინტერესო მაგალითს მოგიყვანთ. როდესაც ლუნდის უნივერსიტეტში დავიწყე მუშაობა, თავიდან ყველაფერი ამიხსნეს, რა როგორ იყო და ბოლოს მითხრეს უცნაური რამ: შემეძლო სემინარებზე შესვლა ხუთი წუთით დამეგვიანა. ამან ძალზე გამაკვირვა. მანამდე სხვა შვედურ უნივერსიტეტში ვმუშაობდი და კარგად ვიცნობდი შვედურ პუნქტუალობას, პედანტიზმამდე მისულ. სხვათა შორის, გერმანელები იგივე ანერიტებს ყვებიან შვედურ პედანტიზმზე, რასაც ჩვენ ვყვებით გერმანელებზე. პოდა, ახლა ეს „გერმანელები კვადრატში“ მეუბნებოდნენ, რომ შემეძლო სემინარზე ხუთი წუთით დაგვიანება. აღმოჩნდა რა? სტუდენტებს ეს ხუთი წუთი სჭირდებოდათ, რომ ამოელოთ რვეულები და წიგნები, სახლში ამოხსნილი ამოცანებისთვის თვალი გადაევლოთ და კითხვები მოემზადებინათ. მართლაც, როცა სემინარზე შევდიოდი, ყველანი წიგნებში და რვეულებში იყვნენ ჩაფლულნი. თბილისში ასეთი შემთხვევა არ მქონია. პირიქით, პირველი ხუთი წუთი სტუდენტების დაწყნარებას და მათ ჭუაზე მოყვანას სჭირდება ხოლმე.

სხვა მაგალითსაც გეტყვით: როდესაც ჩემი ორი წლის ბიჭი შვედური საბავშვო ბალიდან სახლში მოვიდოდა, გადმოალაგებდა კარადიდან სათამაშოებს, ითამაშებდა და ბოლოს უთქმელად აალაგებდა ისევ კარადაზე. ასე ასწავლეს ბაღში. ჩვენს ქვეყანაში კი, ბავშვს საკუთარი ნახმარი თეფში არ მიაქვს ნიუარამდე, რადგან ვერ ვასწავლეთ ეს (უფრო სწორად, არ ვასწავლეთ).

- დღეს არსებობს აზრი, რომ სკოლამ ცხოვრებისთვის უნდა მოამზადოს ბავშვი და არა კონკრეტული საგნები შეასწავლოს...

- ერთი მეორეს არ გამორიცხავს, უფრო პირიქით. როგორ იქნება ბავშვი მომზადებული ცხოვრებისთვის, თუ მას არ ეცოდინება ელემენტარული პროცენტის დათვლა ან ორი სიტყვა არ ეცოდინება უცხო ენაზე?! იმავდროულად მე პირადად, ვფიქრობ, რომ, მაგალითისთვის, ბიოლოგიაში უფრო მნიშვნელოვანი დრო უნდა ეთმობოდეს ადამიანის ორგანიზმისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესწავლას, ვიდრე, ვთქვათ, ამების უჯრედის დეტალური აგებულების დაზუტხვას. ისტორიამიც არა აუცილებელი უამრავი ფაქტისა და თარიღის დაზეპირება. ბევრად მნიშვნელოვანია წაკითხულის კრიტიკული გააზრება, სხვადასხვა მოვლენას შორის ლოგიკური კავშირის დანახვა და, თუნდაც, სწორი კითხვების დასმა. სხვათა შორის, თავისუფალ უნივერსიტეტში გამოცდები ღია წიგნის პრინციპით ტარდება და სტუდენტს შეუძლია ყველა ფაქტორივი მონაცემი წიგნიდან ამოიღოს პირდაპირ გამოცდის მსვლელობისას.

ჩვენი სკოლა ასევე გეგმავს, რომ მოსწავლეებს შეუქმნას საბაზისო წარმოდგენა ცხოვრებისათვის საჭირო ისეთ პრაქტიკულ საგნებზე, როგორიცა სამართალი, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები და ასე შემდეგ.



– რაც არ უნდა კარგი მოდელი გქონდეს, კარგ სკოლას ვერ გააკეთებ, თუ არა გყავს კარგი პედაგოგები. პედაგოგი არის სკოლის ქვაკუთხედი. როგორ შეარჩიეთ პედაგოგები?

– ძალიან მარტივად. გამოვაცხადეთ მაღალი ხელფასები და ვინც დაგვთანხმდა, ისინი ავიყვანეთ. სერიოზულად რომ გიპასუხოთ, პედაგოგები დიდი პრობლებაა საქართველოში. გასაუბრებებმა გვიჩვენა, რომ, სამწუხაროდ, მათემატიკის პედაგოგთა 80-მა პროცენტმა თავად არ იცის ის სასკოლო კურსი, რაც უნდა ასწავლოს. მე მათემატიკოსი ვარ და მათემატიკის საგანში მივცემ თავს უფლებას ასე გადაჭრით ვისაუბრო, თორემ, ალბათ, სხვა საგნებშიც იგივე სიტუაციაა. არაა ასეთ თემებზე საუბარი სასიამოვნო, მაგრამ განათლებაში დიდზოლად იმიტომაცაა ცუდად საქმე, რომ ბევრს წარმოდგენაც არა აქვს, რამდენად ცუდადა საქმე. ამის გამოსწორებას ბევრი დრო და ენერგია დასჭირდება.

– თქვენ რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ პედაგოგები?

– ჩვენმა პედაგოგებმა გაიარეს ტესტი ლოგიკურ აზროვნებაში, საკუთარ საგანში (თავისუფალი უნივერსიტეტის შესაბამისი საგნის პროფესიონერებთან) და წარმოგვიდგინეს პედაგოგიური უნარები კონკრეტული თემის ახსნით სასკოლო კურსიდან.

ჩვენ ვცდილობთ, რომ ჩვენი პედაგოგები არა მხოლოდ მატერიალურად, არამედ მორალურადაც იყვნენ დაფასებულნი. მათ არ ეძღვევათ ინსტრუქცია სკოლის ადმინისტრაციისაგან, რომ, მაგალითად, მოუმატონ ბავშვებს ნიშნები, კრაიონები და მარტივი სამართლებრივი სამსახურის მიერთების მიზანით. ამის გამოსწორებას ბევრი და ენერგია დასჭირდება.

მაინც მშობლებისთვისაა საზიანო (იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენთან, საბედნიეროდ, ასეთი მშობელი ცოტაა). ჩვენ არ გვაქვს პრინციპი, რომ კლიენტი ყოველთვის მართალია. ჩვენთვის სკოლა არ არის ჩვეულებრივი ბიზნესი.

– თქვენ თვლით, რომ განათლება არის ქვეყნის უპირველესი პრობლება?

– დიახ, ყველა სხვა პრობლემა, რაც არ უნდა აიღოთ, საბოლოოდ განათლებაზე დადის: ჩვენ ვერც რაიმე საქმის გაკეთებას შევძლებთ და ვერც კარგ ხელისუფლებას ავირჩევთ, თუ განათლება არ გვექნება. განათლებაში, ცხადია, ცარიელი დიპლომის ქრნას არ ვეულისხმობ. საბოლოოდ, ყველა ზარალდება ამ პრობლემით.

– რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლება ამ პრობლემის გადაჭრას?

– განათლებაში საჭიროა დიდი ინვესტიცია, როგორც ფინანსური, ასევე ინტელექტუალური. ოღონდ ეს ხეჭეჭურის ხესავითაა, კინოფილმიდან „ნერგები“, – გვიან მოგცემს ნაყოფს. როგორც კონფუცი ამბობდა: „თუ ერთნლიანი გეგმები გაქვს – ბრინჯი დათესე, თუ ათწლიანი – ხეები დარგე, თუ ასწლიანი – ბავშვებს ასწავლე“. მთავრობას კი ნაყოფი მომავალ არჩევნებამდე სჭირდება, ანუ ოთხ წელიწადში. უფრო მეტიც, თუ სწორ ნაბიჯებს გადადგამს მთავრობა, შეიძლება გაანაწყენოს კიდევაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. თუ სწავლა სწავლას დაემსგავსება, ბევრი სტუდენტი, ვინც დღეს ვითომ სწავლობს, ვეღარ ისწავლის და ბევრი ლექტორიც, ვინც ვითომ ასწავლის, უმუშევარი დარჩება (ყველაზე არ ვამბობ). პოდა, ბევრს დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს. თუმცა, თუ იმავე ფილმს დავვესესხებით, ასე თუ ვიფიქრებთ, ხვალ აღარც კვერცხი გვექნება და აღარც ქათამი. გრძელვადიან პერსექტივაში ყველას ინტერესშია ამ პრობლემის გადაჭრა.

– მოსახლეობის გამოკითხვა აჩვენებს, რომ ისინი სულ სხვა პრობლემებს აყენებენ პირველ ადგილზე, მაგალითად, უმუშევრობას.

– გეთანხმებით, ოღონდ ყველა ეს პრობლემა განათლების პრობლემისგან არის გამოწვეული. რა არის უმუშევრობა? უმუშევრობა ნიშნავს, რომ არის ადამიანი და არ არის სამუშაო. ჩემი აზრით, ეს პრობლემა გამოწვეულია ზუსტად ამის საპირისპირო პრობლემით: კვალიფიციური კადრების მკვეთრი დეფიციტით: ანუ, არის სამუშაო და არ არის ადამიანი. სამუშაო თავსაყრელია, – ან კი როგორ შეიძლება ჩვენს შეჭირვებულ ქვეყანაში საქმე და საკეთებელი არ იყოს?! მაგრამ, მაგალითად, იმისათვის, რომ ქარხანა ამუშავდეს, საჭიროა კვალიფიციური მენეჯერი, ინჟინერი, ფინანსისტი, იურისტი და ასე შემდეგ. ასეთი კადრები არსებობს, მაგრამ ძალიან ცოტაა. ამიტომა, რომ ჭირს რაიმე საქმის წარმოწება. გვინია დიპლომომანიამ, როცა დიპლომების რაოდენობით ერთ-ერთი პირველი ვიყავით მსოფლიოში. პოდა, გვყავს დღეს ტაქსის მძღოლები ორ-ორი დიპლომით. შედეგად, დღეს ქვეყანაში გვაქვს კურიოზული სიტუაცია: არსებობს უამრავი ადამიანი, ვისაც სამუშაო არა აქვს და იმავდროულად არსებობს უამრავი საქმე, სადაც სპეციალისტებს ვერ პოულობენ! ჩემი სტუდენტობის მეგობრები (მოსკოვის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტის მათემატიკის და ფიზიკის ფაკულტეტების კურს-დამთავრებულები) თითქმის ყველა გადავიდა ბიზნესში და საკმაოდ წარმატებულადაც. მათ შესვედრებზე ხშირად ისმის ასეთი კითხვები: კარგი ბუღალტერი მჭირდება და ხომ არ იცით ვინმე? ან კარგი იურისტი, ინჟინერი და ასე შემდეგ. ყველა ეძებს კარგ სპეციალისტს, მაგრამ ადვილად ვერ პოულობს.

– თქვენ ძალიან ბევრ ადამიანს გაანაწყენებთ ამ სიტყვებით, დიპლომიან უმუშევართა უზარმაზარ არმიას.

– მე პოლიტიკოსი არა ვარ, ადამიანებს თავი მოვუქონი. პოლიტიკოსები ხშირად ხალხს განიხილავენ, როგორც ქალს, რომელიც კომპლიმენტებით უნდა აავსო (ზოგჯერ საჩქერებითაც), რომ მისი კეთილგანწყობა მოიპოვო. ზურგს უკან კი აგინძებნ იმავე ხალხს. მე ვამბობ ისე, როგორც ვეხედავ. რა თქმა უნდა, დაუსაქმებელ ადამიანებს შორისაც არიან კარგი სპეციალისტები, ვინც ჯერ კიდევ ვერ დააფასეს სათანადოდ, მაგრამ ეს უფრო გამოინაკლისია, ვიდრე წესი. უმეტეს შემთხვევაში დიპლომის უკან არ დგას შესაბამისი ცოდნა.

– როგორც აღნიშნეთ, კარგი სპეციალისტის აღზრდას დიდი ინვესტიცია სჭირდება. აქვს ქვეყანას ამის ეკონომიკური რესურსი?

– რაც აქვს, ის უნდა გამოიყენოს ეფექტიანად. ქვეყანა უნდა მოიქცეს ისე, როგორც იქცევა ოჯახი, სადაც მშობლებმა იციან განათლების ფასი: პირველ რიგში ბავშვების განათლებაზე გადადებენ თანხას და რაც დარჩება, იმას ანაზილებენ სხვა საჭიროებაზე. პედაგოგს უნდა ჰქონდეს ლირსეული ანაზღაურება, ცარიელი ლოზუნგებით ამ პროფესიის პრესტიჟი არ ამაღლდება.

იმავედროულად, მეტი ობიექტურობა უნდა მოეთხოვოს პედაგოგს. სრულიად მიუღებელი უნდა გახდეს არცოდნაში ნიშნის დაწერა, რადგანაც ეს არის სიყალე. მაგალითად, ყალბი კუპიურების დაბეჭდვა ხომ არის დანაშაული? ჩემი აზრით, ყალბი ნიშნის დაწერა და ამით ვითომ ექიმის ავადმყოფთან მიშვება ან ვითომ იურისტისთვის ადამიანის ბედის ჩაბარება ბევრად დიდი დანაშაულია. მხოლოდ სხვისი კრიტიკა რომ არ გამომივიდეს ვიტყვი, რომ, როცა ახალგაზრდა ლექტორი ვიყავი, მეც გამიკეთებია შელავათი, მაგალითად, ჩემილბავშვიანი სტუდენტებისთვის, დროულად რომ ვერ მოასწრეს გამოცდისთვის მომზადება. მაგრამ ახლა ვთვლი, რომ ასეთ შემთხვევებში გამოსავალი უფრო მოქნილი სალექციო და საგამოცდო სისტემაა და არა ნიშნის მომატება. ყალბი კუპიურების დაბეჭდვა ხომ არანაირი მიზეზით არ არის გამართლებული.

– ეს აღბათ კიდევ ერთ პრობლემას იწვევს: პროფესიულ-ტექნიკური კადრების ნაკლებობას.

– დიახ, კვალიფიციური ხელოსანიც ძნელი საპოვნელია. მე თავდა ავაშენე საკუთარი კერძო სახლი თბილისში და ვიცი, რომ კარგი ხელოსანის პოვნაა ამ საქმეში ყველაზე დიდი პრობლემა. კონკრეტული საქმე ცოტამ იცის, უმეტესობა „ყველაფერშეიკია“. ცარიელი დიპლომების დარიგება კიდევ უფრო ამწვავებს ამ პრობლემას: დიპლომიანი ადამიანი თვლის, რომ მას უმაღლესი განათლება აქვს და აუცილებლად „ოფისში“ უნდა იმუშაოს, აღარ უნდა ხელოსნობა და რჩება საერთოდ უმუშევარი. საბოლოოდ გვაქვს

ის კურიოზული სიტუაცია, რაც უკვე ვთქვით: უამრავი ადამიანი სამუშაოს გარეშე და უამრავი საქმე, გამკეთებელი რომ არ ჰყავს.

– „ყველაფერშეიკობა“ აღბათ მარტო ხელოსნების სენი არაა...

– მართალია, ზოგადად ქართველებს არ გვიყვარს სიტყვები: „არ ვიცი“. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ. არა და, პირადად მე ძალიან ვაფასებ, როცა ადამიანი ამბობს „არ ვიცი“, რადგანაც მაშინ მე მჯერა მისი იქ, სადაც ის ამბობს „ვიცი“. კარგად მახსოვოს ჩემი გაოცება, როდესაც შვედეთში პირველად მოვხვდი მიღებაზე ექიმთან, პროფესორთან და თავისი მოსაზრების გამოთქმის შემდეგ დააყოლა, ჩემს კოლეგასთანაც გავიცლი ამ საკითხზე კონსულტაციას.

– თქვენ, პირადად, როგორ აგვარებთ კადრების საკითხს? თქვენ თავისუფალი უნივერსიტეტის მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი ხართ და ბევრი მიმართულებით გჭირდებათ სპეციალისტი.

– არა მარტო ჩემს ფაკულტეტზე, სხვა ფაკულტეტზე საც უჭირთ კვალიფიციური კადრების მოძიება. ჩემს ფაკულტეტს რაც შეეხება, მათემატიკოსების პოვნა ჯერ კიდევ შეიძლება (ხაზს ვუსვამ, ჯერ კიდევ), კომპიუტერული მეცნიერების სპეციალისტი კი სანთლით საძებარია. ასეთი კადრი ცოტაა და მათზე დიდი კონკურენციაა. ჩვენს უნივერსიტეტში ანაზღაურება საკმაოდ მაღალია, მაგრამ მაინც ძნელია კონკურენცია გაუწიო ბანკებს და სადაზღვევო კომპანიებს. როდესაც გავიგებ, რომ სადმე კარგი სპეციალისტი მუშაობს, ვურკავ, ვეპატიურები სადილზე სადმე მის სამსახურთან ახლოს (უნივერსიტეტში მოსვლა შეიძლება ეშოროს), მივდივარ ჩემს კოლეგებთან ერთად და ვინწყებ აგიტაცია-პროპაგანდას, ასე ვთქვათ, „შეხვევას“. ზოგჯერ ვხუმრობ, რომ ამდენი ძალის სამართლებრივი სამსახური არ ამაღლდება.

– რამე სანუგეშოს თუ გვეტყვით ამდენი პრობლემის შემდეგ?

– სანუგეშოც ბევრია. თუნდაც ის ფაქტი, რაც ახლახან აღვწერე: ძალიან დაფასდა კვალიფიციური კადრები, კერძო ბიზნესმა მოიტანა ეს. ჩემს ახალგაზრდობაში, საბჭოთა კავშირის დროს, სულაც არ იყო ასე, არავის აინტერესებდა კვალიფიციური კადრი, ძირითადად ფულით და ნაცნობობით ხდებოდა სამუშაოზე მიღება. მთავარი იყო დიპლომი გქონდა ფორმალურად. დამტკირავებელს დიდად არ აღელვებდა საქმის შედეგი – ეს ხომ არ იყო მისი კერძო საქმე.

დღეს კი სიტუაცია რადიკალურადაა შეცვლილი: მეც და ჩემი კოლეგებიც თავისუფალი უნივერსიტეტიდან სანთლით ვეძებთ კვალიფიციურ კადრებს. ასეა ყველა ფაკულტეტზე. ასე რომ, ახლა ცოდნა ბევრად უფრო ფასობს, ვიდრე ეს იყო ადრე.

კიდევ სანუგეშო ის არის, რომ სწავლა აღარ არის სამარცხინო, როგორც ეს იყო ერთი-ორი ათეული წლის წინ. აღარ გირეავან ნაცნობები და არ გთხოვთ სამუშაოს სტუდენტები აღარ იხდიან ქრთამს მისაღებ გამოცდებზე და შემდეგ არც სწავლის პერიოდში.

აქ ერთი ძველი ქუთაისური ანეკდოტი გამახსენდა: – ავთოია გაურიცხიათო. გარიცხავდნენ, აბა რა იქნებოდა, ორი ათასი მანეთის გამოცდები დარჩა ჩასაბარებელიო... გამოცდების რაოდენობა მანეთებში იზომებოდა.

– გაქვთ იმედი, რომ მალე მოხდება საჭირო ძვრები განათლების სისტემაში?

– ეს ვერ მოხდება, თუ არ მოხდა ასეთი საჭიროების მასობრივ დონეზე გააზრება. რამდენად კომპეტენტური ხალციც არ უნდა მოვიდეს განათლების სამინისტროში, ისინი მაინც პოლიტიკური გუნდის ნაწილი იქნებიან და ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესი უნდა გაატარონ. სწორი რეფორმების გატარება კი, რომლებიც შედეგებს მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში მოიტანს, არაპოპულარული იქნება ხელისუფლებისთვის.

სიმართლე რომ გითხრათ, სხვადასხვა ხელისუფლების დროს მეც მქონდა შემოთავაზება ჩემი მეგობრებისგან (რომლებიც იმ დროს ხელისუფლებაში იყვნენ) ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობაზე და შემდეგ განათლების მინისტრობაზე. მე მათ დავუსვი რიტორიკული კითხვა, მექნებოდა თუ არა შესაძლებლობა იმ საჭირო რეფორმების გატარებისა, რომელთა სიკეთეშიც ჩემი მეგობრებიც მეთანხმებოდნენ. მეგობრებმა პატიოსნად მიპასუხეს, რომ არა. და ცხადია, რომ არა! ეს ორივე თანამდებობა არის პოლიტიკური თანამდებობა.

განათლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მე ვფიქრობ, დღევანდელ ეტაზზე განათლების სისტემას უნდა ჰქონდეს გარკვეული დამოუკიდებლობა (სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის რაღაც ანალოგი), რათა მან გაატაროს აუცილებელი რეფორმები, ხშირად მტკიცნეულიც.

განათლება ეს არის მთავარი იარაღი თანამედროვე სამყაროში და ჩვენთვის ეს არის ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის ერთადერთი გარანტი (რაც არ უნდა პათეტიკურად უდერდეს). განათლების გარეშე ჩვენ დავმარცხდებით და სხვა უსათუოდ დაგვჯაბნის. და თუ ჩვენი გაუნათლებლობის გამო გვაჯობა ვინმერ, გულის სიღრმეში რაღაცა მეუბნება, რომ ეს სამართლიანიც იქნება და ეს მანუხებს ყველაზე მეტად.

– თქვენ უცხოურ უნივერსიტეტებში მუშაობდით. რა არის მთავარი განსხვავება ქართულ რეალობასთან შედარებით?

– პირველ რიგში – სტუდენტების დამოკიდებულება სწავლის მიმართ. შევედეთის გარდა, მე ვმუშაობდი ინგლის-შიც, ლონდონისა და საუთჰემპტონის უნივერსიტეტებში. დამოკიდებულება სწავლისადმი იგივენაირად საქმიანია. საქართველოს გარდა, არ ვიცი სხვა ქვეყანა, სადაც სტუდენტი ფულს იხდიდეს იმაში, რომ არ ისწავლოს. წარმოიდგინეთ, შევედით რესტორანში, გადაიხადეთ ფული და არ მიირთვით შეკვეთილი კერძები. თანაც გიხარიათ, ეს რა ჭკვიანურად გააცურეთ რესტორანი. მარტო ფულის გადახდაზეც არ არის საქმე. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, სტუდენტი იხდის ბევრად უფრო ძვირფას ვალუტას – საკუთარ დროს, მისი ცხოვრების საუკეთესო წლებს, როცა სხვა საზრუნავი ნაკლები აქვს და შეუძლია ცოდნის მიღებაზე გააკეთოს კონცენტრაცია. ასეთი დრო აღარ

განმეორდება მათ ცხოვრებაში.

როდესაც აგრარული უნივერსიტეტი კახა ბენდუქიძის მართვაში გადმოვიდა და რადიკალური ცვლილებები მოვახდინეთ იქ, იცით რას აპროტესტებდნენ აგრარულის სტუდენტები? რატომ გვასწავლითო? ჩვენ აგრარულში იმიტომ ჩავაბარეთ, რომ არ გვესწავლაო.

ჩემი თაობის ხალხისგანაც ხშირად გამიგია: რა კარგი იყო სტუდენტობა, როგორ აცდენდნენ ლექციებს, როგორ დაიდონდნენ „შატალონებზე“ („შატალოც“ შეიძლება კარგი იყოს, როცა ეს გამონაკლისია და არა წესი), როგორ ეშმაკობდნენ გამოცდაზე, როგორ ინტერებოდა ნიშნები ჩანცყობით (ქრთამზე რომ არაფერი ვთქვათ) და ასე შემდეგ... ამიტომაც გვაქვს ახლა ეს ქვეყანა თავზე დამხობილი!

– **ალბათ მარტო სტუდენტების ბრალიც არ არის ეს ყველაფერი. როგორც თავად თქვით, ხშირად ლექტორებიც „ახალტურებებიც“ და ტყუილად არიგებენ ნიშნებს.**

– გეთანხმებით, მოჯადოებული წრეა. თუ ლექტორმა ნიშანი არ დაუწერა სტუდენტს, მაშინ სტუდენტი გაირიცხება. გარიცხული სტუდენტი კი ფულს აღარ გადაიხდის და ლექტორიც ხელფასს ვერ მიიღებს. ამიტომ უნივერსიტეტებში ძალიან დაბალ დონეზეა ცოდნის თამასა დაწეული. მე მიკვირს, თავად სტუდენტები რატომ არ აპროტესტებენ ამ სიტუაციას. ესეც ალბათ საბჭოთა მენტალიტეტის ინტეციაა, როცა საჭირო იყო არა ცოდნა, არამედ დიპლომი და მერე ნაცნობობით ყველაფერი კეთდებოდა. დღევანდელი სტუდენტები არ მოსწრებიან საბჭოთა კავშირს, მაგრამ საბჭოთა მენტალიტეტის გარემოში გაიზარდნენ. კიდევ ბევრ თაობას გადაყვება, სამწუხაროდ, ეს მენტალიტეტი.

– სად არის გამოსავალი?

– მე ასე ვიტყვი: განათლებაში არსებობს ორი ბოროტება, დიდი ბოროტება და პატარა ბოროტება. დიდი ბოროტებაა, არ ასწავლო მას, ვისაც სწავლა უნდა და პატარა ბოროტებაა, ასწავლო მას, ვისაც სწავლა არ უნდა. ჩვენ არც ერთი ბოროტება არ უნდა ჩავიდინოთ და არც მეორე. საგრძნობლად უნდა შევამციროთ სტუდენტების რაოდენობა და მთელი სახსრები მათ მოვახმაროთ, ვისაც სწავლა უნდა. მაგრამ ამას ძნელად გააკეთებს რომელიმე ხელისუფლება. ეს არც სტუდენტს მოეწონება, არც მის მშობელს და არც ბედაგოგს. რადგან მშობელი ვახსენეთ, მინდა მათ მივმართო: თუ თქვენი შვილი არაფერის აკეთებს სემესტრის განმავლობაში, ბოლოს ერთი-ორი დღე დაჯდება სამეცადინოდ და მერე ნიშანს მიიღებს გამოცდაზე, ნუ ჩათვლით, რომ თქვენი შვილი აუცილებლად გენიოსია! ჩათვალეთ, რომ მთელი სისტემა თქვენ გატყუებთ და გააპროტესტეთ ეს (შემდეგში მაინც მოგინევთ საპროტესტოდ გასვლა, როცა თქვენი შვილი უმუშევარი დაგიჯდებათ სახლში).

– ანუ მნიშვნელოვანია სტუდენტების თვითშეგნება?

– დიახ, ესაა გადამწყვეტი. აბა სცადეთ, შვედ სტუდენტს არ ასწავლოთ ან ტყუილად დაუწეროთ ნიშანი. დაუმსახურებლად მიღებული ზედმეტი ნიშანიც არ უნდათ. მას ხსოვს ასეთი შემთხვევა ჩემი პირველი კურსის წაკითხვისას შვედებთში: კომპლექსურ რიცხვთა თეორიაში საგამოცდო ნაწერში ერთ-ერთ სტუდენტს თითოეული ამოცანა შესაბამისი ქულით რომ შევუფასე, მერე ამ ქულების შეკრებაში შეცდომა მომივიდა და უფრო მაღალი შეფასება დავწერე,

ვიდრე ქულების ჯამი იყო. მოვიდა შემდეგ ეს სტუდენტი და მითხრა: თქვენ პრობლემები გქონიათ არაკომპლექსური რიცხვების შეკრებაში. რა მექნა, დავუწიე შეფასება. თავად რომ არ ეღიარებინა, ვერც ვერავინ გაიგებდა. ასეთი რამ შეიძლება ჩვენთანაც მოხდეს, მაგრამ, ზოგადად თუ ვიტყვით, ჩვენთან უფრო მეტად მისაღებია პლაგიატი და აკადემიური თაღლითობა. და ეს არა მარტო სტუდენტები-სთვისაა მისაღები, არამედ ბევრი პედაგოგისთვისაც კი. ჩემს კოლეგებთან თბილისში ხშირად მქონია კამათი, როდე-საც მიმტკიცებდნენ: რა მოხდა, სტუდენტი თუ გამოცდაზე გადაიწერს, გადაწერაშიც ხომ სწავლობენ.

– ლექციები როგორ ტარდებოდა შვედეთში?

– ლექციებს საქმაოდ დიდ ჯეუფებში ვატარებდი, დაახლოებით ორასი სტუდენტი ესწრებოდა ერთდროულად. საინტერესოა, რომ თხუთმეტი წლის განმავლობაში ერთხელაც არ დამჭირვებია წესრიგისაკენ მოწოდება.

– ჩვენი სტუდენტები განსხვავდებიან ამ მხრივ?

– ჩვენი სტუდენტები ჩვენი საზოგადოების ნაწილია. თქვენც აღბათ ხშირად გინახავთ ჩვენთან კინოში ან თეატრში, როგორ თავისუფლად საუბრობენ ადამიანები სპექტაკლის მსვლელობისას. მობილურები ხომ ცალკე პრობლემაა. დასავლეთში სტუდენტები მაქსიმალურად არიან ჩართული ლექციაში და არ ცდილობენ სხვა რაიმე გასართობის პოვნას. ასეთ საინტერესო რამეზეც დავფიქრებულვარ: ლექციებს შვედურად ვკითხულობდი და შვედური ჩემი მეხუთე ენაა. ენების ნიჭი არ მაქვს მაინც-დამაინც და წარმომიდგენია, რამდენ შეცდომას დავუშვებდი საუბრისას. საინტერესოა, რომ ამზე არავითარი რეაქცია არ ჰქონდათ სტუდენტებს. აქ შემიძლია დავიტრაბახო კიდევაც, მიუხედავად ენობრივი შეზღუდულობისა, რამდენჯერმე ვიყავი სტუდენტებისაგან ფაკულტეტის საუკეთესო ლექტორად არჩეული და ჩემი მუშაობის ბოლო წელს მთელს უნივერსიტეტში წლის საუკეთესო ლექტორადაც ამირჩიეს. დავინტერესდი და გავარკვიე, რომ იმ წელს ათას ორასამდე ლექტორი ასწავლიდა უნივერსიტეტში და სტუდენტები მხოლოდ ერთს ირჩევდნენ მათგან საუკეთესო ლექტორად. სხვათა შორის, საუკეთესო ლექტორს ხელფასაც უმატებდნენ.

– აქ აღბათ უპრიანია კითხვა, რატომ დაბრუნდით ზუსტად მაგ დროს საქართველოში?

– ბევრი მექითხება მაგას: მუდმივი სამუშაო მქონდა, კარგი ხელფასი, შვედეთის მოქალაქეობაც მქონდა, ენა ვიცოდი... არ იყო მარტივი გადაწყვეტილება. ისე, სხვათა შორის, არავინ მეკითხება რატომ წავედი საქართველოდან. მაინც გეტყვით. საქართველოდან რომ წავედი, ჩემი ხელფასი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო 30 ცენტი თვეში. ამ პერიოდში ან პროფესია უნდა შეგეცვალა ადამიანს, ან ქვეყანა. მე ქვეყანა შევცვალე, დროებით. რატომ დავგარუნდი? მე იმ დროს წამოვედი, როცა ჩემი გოგონები ჯერ კიდევ წამომყებოდნენ. მინდოდა, რომ საქართველოც გაეცნოთ. სკოლის ბოლო კლასები (ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე სკოლაში) და უნივერსიტეტი თბილისში დაამთავრეს. აქ მეგობრები გაიჩინეს, ქართული ენაც კარგად ისწავლეს. მე მათ არჩევანი მივეცი, საქართველო თუ უცხოეთი. უამისოდ არჩევანი



„არგენტინული ტანგო“ - ცეკვა პარტნიორისთვის

არ ექნებოდათ. ამის შემდეგ თავიანთი გზა თვითონ იციან.

– ხომ არ ნანობთ, რომ დაბრუნდით?

– არა. ბევრი რამე მენატრება შვედეთიდან – მოწერიგებული ქვეყანაა, მაგრამ აქაც ძალიან საინტერესოა ცხოვრება.

– თქვენი შვილები ამჟამად სად არიან და რას საქმიანობენ?

– სამი შვილი მყავს. მათ, ისევე როგორც მე, ორმაგი მოქალაქეობა აქვთ (საქართველოსი და შვედეთის). უფროსი გოგონა გათხოვილია ამერიკელზე, დიპლომატიურ საქმიანობას ეწევიან. ამჟამად უკრაინაში ცხოვრობენ და მომავალში შვედეთში აპირებენ ცხოვრებას. მეორე გოგონა შვედეთშია. მესამე შვილი – ბიჭი კი თბილისშია, თავისუფალ უნივერსიტეტში, ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლობს პირველ კურსზე.

– თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

– ჩემი პიბია არგენტინული ტანგო. ძალიან დიდი ხანია ამ საქმეში ვარ. ვასწავლიდი კიდეც. თავისუფალ უნივერსიტეტიც გვქონდა კლუბი. მიყვარს ეს საქმე და დიდი დრო მაქვს დათმობილი. დღემდე ვცეკვავ, დავდივარ ფესტივალზე, გამოვდივარ საჩვენებელ გამოსვლებზე.

– რამე წარმატება მაგ მიმართულებითაც ხომ არ გაქვთ?

– არგენტინულ ცეკვებში შეჯიბრებები ნაკლებად ტარდება. არსებობს სამეჯლისო, ანუ ევროპული ტანგო და არგენტინული ტანგო. სამეჯლისო ტანგო ეს უფრო სპორტული ცეკვაა. არგენტინული ტანგო თავისი არსით არ არის შეჯიბრება. სამეჯლისო ცეკვა არის ცეკვა მაყურებლისთვის და უიურისთვის – წახეთ რა მაგარი ბიჭი ვარო, არგენტინულ ტანგოს პარტნიორისთვის ცეკვავ. ყველაზე დიდი მსაჯულიც პარტნიორია.

ესაუბრა თემურ იობაშვილი